

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS SME-თვის)

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4


ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები


1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის სამუშაო გარემო	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	6
4. ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ	10
5. ძირითადი საშუალებები	11
6. დებიტორული და სხვა დავალიანებები	12
7. ფული და ფულის ექვივალენტები	12
8. საწესდებო კაპიტალი	13
9. ნასესხები სახსრები	13
10. გრძელვადიანი დავალიანება	14
11. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	14
12. შემოსავლები	14
13. სხვა საოპერაციო ხარჯი	15
14. ფინანსური ხარჯები	15
15. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები	15
16. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	17
17. ფინანსური ინსტრუმენტები	17
18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

**შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

ათას ლარში	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	61,906	45,200
არამატერიალური აქტივები		8	9
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	-	6,286
წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება		274	238
სულ გრძელვადიანი აქტივები		62,188	51,733
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.		247	-
დებიტორული და სხვა დავალიანება	6	707	942
გადასახადების ანაზღაურება		-	3,196
ფული და ფულის ექვივალენტები	7	336	1,164
სულ მიმდინარე აქტივები		1,290	5,302
სულ აქტივები		63,478	57,035
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	26,192	24,656
გადაუხდელი კაპიტალი	8	(766)	(5,341)
გადახდილი კაპიტალი	8	2,374	1,066
დაგროვილი დეფიციტი		(27,659)	(11,746)
სულ კაპიტალი		141	8,635
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	59,077	37,155
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	10	941	685
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		60,018	37,840
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	2,035	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	11	773	10,560
მიღებული ავანსები		244	-
გადახდას დაქვემდებარებული გადასახადი		267	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,319	10,560
სულ ვალდებულებები		63,337	48,400
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		63,478	57,035

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 14 მაისს:


გიორგი აბრამიძე
მმართველი პარტნიორი


მარიამ ჩხეიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „აგსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	2020	2019
შემოსავალი	12	1,321	642
სხვა შემოსავალი		395	38
გამოყენებული ნედლი და სახარჯი მასალები		(381)	(214)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(1,737)	(1,089)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(973)	(30)
ხელშეკრულების მოშლის საფასური		–	(1,661)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(3,015)	(2,237)
საოპერაციო დანაკარგები		(4,390)	(4,551)
ფინანსური ხარჯები	14	(3,732)	(1,486)
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული (ზარალი) / მოგება წმინდა		(7,791)	(111)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(15,913)	(5,926)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი მოცემული წლისთვის		(15,913)	(5,926)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის		(15,913)	(5,926)

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გადაუხდელი კაპიტალი	გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		24,656	(9,186)	684	(5,820)	10,334
კაპიტალის შენატანი	8	–	3,845	382	–	4,227
ზარალი მოცემული წლისთვის		–	–	–	(5,926)	(5,926)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის		–	–	–	(5,926)	(5,926)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		24,656	(5,341)	1,066	(11,746)	8,635
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8	1,536	(1,536)	–	–	–
კაპიტალის შენატანი	8	–	6,111	1,308	–	7,419
ზარალი მოცემული წლისთვის		–	–	–	(15,913)	(15,913)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის		–	–	–	(15,913)	(15,913)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		26,192	(766)	2,374	(27,659)	141

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(15,913)	(5,926)
კორექტირებები შემდეგთან დაკავშირებით:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5	973	30
ფინანსური ხარჯი	14	3,732	1,486
ფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურების ზარალი	6	160	–
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა წმინდა			
სარეალიზაციო ღირებულებაზე		162	–
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი/(მოგება) წმინდა		7,791	(111)
საოპერაციო ფულადი სახსრების მოძრაობა საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(3,095)	(4,521)
დებიტორული და სხვა დავალიანების ცვლილებები		76	(942)
საგადასახადო წინასწარი გადახდების ცვლილებები		3,463	(2,958)
გრძელვადიანი გადასახდელების ზრდა		164	121
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში გადახდილი პროცენტი		608	(8,300)
		(4,253)	(340)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(3,645)	(8,640)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(23,597)	(32,236)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		395	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(23,202)	(32,236)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	9	18,772	36,421
კაპიტალში შენატანებიდან მიღებული შემოსავალი	8	7,419	4,227
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		26,191	40,648
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე, წმინდა		(172)	188
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(828)	(40)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		1,164	1,204
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		336	1,164

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“ ან „AGD“).

კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 18 ივნისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404997232.

კომპანიის გამოშვებულ წილებს ფლობდნენ შემდეგი პარტნიორები:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“	82%	82%
შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“	13%	13%
შპს „ენერჯი სოლუშენს“	5%	5%

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. №5 / ჯიქიას ქ. №10.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ლახამის ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში „ლახამი“) მშენებლობა, საკუთრება და ოპერირება. აღნიშნული მიზნით, 2016 წლის 19 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „MoU“) საქართველოს მთავრობასთან. მემორანდუმში ცვლილება შევიდა 2019 წლის 3 დეკემბერს.

ლახამის კასკადი შედგება ორი ჰესისგან: ზედა ეტაპი ლახამი 1 და ქვედა ეტაპი ლახამი 2 ჰესებისგან. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2018 წელს და მიუხედავად გამოწვევებისა, რომლებიც უკავშირდება COVID – ის გავრცელებას, ყველა ძირითადი სამშენებლო სამუშაო წარმატებით დასრულდა 2020 წელს. ლახამი 2 ჰესმა მუშაობა დაიწყო 2020 წლის 19 აგვისტოს, ხოლო ჰესი ლახამი 1 ამოქმედდა 2020 წლის 17 ოქტომბერს.

საპრეზენტაციო ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა გამოწვევებისა.

2 კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, აგრეთვე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

2 კომპანიის სამუშაო გარემო (გაგრძელება)

2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID – 19 – ის პანდემიის შესახებ. პანდემიის გავლენის ლიმიტირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად. კომპანია იმედოვნებს, რომ COVID-19 – ის საერთო გავლენა ჰიდროენერგეტიკულ სექტორზე საქართველოში შედარებით სუსტი იქნება. მოსალოდნელია, რომ ენერგია და ინფრასტრუქტურა იქნება ყველაზე მდგრადი სექტორი საქართველოს ეკონომიკაში, რადგან ეროვნული მასშტაბის საგანგებო მდგომარეობა არ ვრცელდება ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, როგორიცაა ჰესები.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა შესაბამისად გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS SME - თვის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS SME-თვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონვენციის საფუძველზე.

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

ბალანსის შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება იმ ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ოპერაციის თარიღისთვის. ამგვარი ოპერაციების განხორციელებიდან და უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანიდან მიღებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
ევრო / ლარი	4.0233	3.2095

ამჟამად ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანება აღიარდება თავდაპირველად გარიგების ფასად. შემდგომ მისი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვები. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის რეზერვები განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების თანახმად გადასახდელი ყველა თანხის ამოღებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება დაბალი ღირებულებით და რეალიზაციის სავარაუდო წმინდა ღირებულებით, რომელიც გამოითვლება, როგორც სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული შესრულებული სამუშაოს ყველა სავარაუდო ხარჯი და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები. ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს შესყიდვის ხარჯსა და მათ მიმდინარე ლოკაციასა და პირობებში მოსაყვანად გაწეულ სხვა ხარჯს.

ყოველ საანგარიშო დღეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის სარეალიზაციო ფასს გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის იმ ლოკაციასა და პირობებში მოყვანასთან, რაც აუცილებელია მისი ოპერირებისთვის ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად.

კომპანია ძირითადი საშუალებების კომპონენტების საბალანსო ღირებულებას ამატებს აღნიშნული კომპონენტის შესაცვლელი ნაწილების ხარჯს, ამგვარი ხარჯის წარმოშობის შემთხვევაში, თუ შეცვლილი ნაწილი სავარაუდოდ მოუტანს დამატებით სამომავლო სარგებელს კომპანიას. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი წარმოიშობა.

ცვეთა. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა აქტივების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში აქტივების თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგი სახისაა:

სასარგებლო გამოყენების ვადა

• მიწა	განუსაზღვრელი
• შენობა	40 წელი
• ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობა	25 წელი
• მილსადენი	40 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
• სხვა	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები და გაუფასურების მეთოდები განიხილება და დაკორექტირდება მიახლოებით, შესაბამისობის შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის აღდგენად ღირებულებაზე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება სავარაუდო აღდგენად ღირებულებას (შენიშვნა 5).

განკარგვისას მოგება და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პუნქტში - 'მოგებას გამოკლებული ძირითადი საშუალებების განკარგვის ზარალი'.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვლას ან ამორტიზაციას, ფასდება თითოეული საანგარიშო თარიღით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშანი. აქტივის გაუფასურების ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი) საბალანსო ღირებულება შემოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGUs) სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციისა და გამოყენების ხარჯი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც წარმოდგენილია განცალკევებით იდენტიფიცირებული ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არა-ფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, რომლებიც გაუფასურებას განიცდიდნენ, განიხილება გაუფასურების შესაძლო ანაზღაურებაზე, ყოველ საანგარიშო პერიოდში.

კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად საოპერაციო ფასად და შემდგომ განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტიანი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არა-ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება და ვალდებულების თანხა შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს. თუ ეფექტი მატერიალური ხასიათისაა, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის დისკონტირებით გადასახდელამდე განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, შესაბამისობის შემთხვევაში, ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი აქტივი წარმოადგენს პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც დამოკიდებულია იმ სამომავლო მოვლენებზე, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ვინაიდან არსებობს გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა მოგების მატერიალიზება ან მათი ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს აქტივები არ აღირიცხება ბალანსში. ამის ნაცვლად, ისინი აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. პირობითი ვალდებულება ნიშნავს ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაურკვეველი სამომავლო მოვლენის შედეგის მიხედვით. პირობითი ვალდებულება აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის ალბათობა და პასუხისმგებლობის ოდენობა შეიძლება გონივრულად შეფასდეს. პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის შენიშვნებში, გარდა ორივე პირობის არ დაკმაყოფილების შემთხვევისა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავენ კომპანიის პარტნიორები. კომპანიის განცხადებულ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადებული საწესდებო კაპიტალის გადაჭარბება / (დეფიციტი) ფაქტობრივი შენატანების ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც განადგებული / (გაუნადგებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ასევე, კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში ნაღდი ფულის სახით ან ნატურით, რომლებიც გათვალისწინებული იყო კომპანიის კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ბალანსის შედგენის თარიღისთვის, აღიარებულია განადგებული კაპიტალის სახით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის რეალიზაციისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი განისაზღვრება სარეალიზაციო / დამატებითი ღირებულების გადასახადის, ამონაგების, ფასდათმობების და ფასდაკლების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც: შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოღინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით; როგორც აღწერილია ქვემოთ.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტებს ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლობის მეიჯარისგან კომპანიაზე გადაცემას, იჯარის მთლიანი გადახდა გატარდება ხარჯის სახით წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის ვადა წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე გააფორმებს ხელშეკრულებას იმასთან დაკავშირებით, რომ იჯარით აიღოს აქტივი ნებისმიერი შემდგომი ვადით, რომლის მანძილზეც მოიჯარეს უფლება ექნება გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში, გარკვევით იქნება მითითებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ ოფციით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გადასახადების გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება პუნქტში - 'გადასახადები, გარდა მოგებისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“) ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

შესწორების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვას.

4 ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დაშვებებს. დაშვებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ზრახვები, სამომავლო ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. კომპანიას აქვს საჭირო რესურსი საქმიანობის გასაგრძელებლად პროგნოზირებად მომავალში. მიუხედავად COVID-19 - თან დაკავშირებული გამოწვევებისა, მისი გავლენა ჰიდროენერგეტიკულ სექტორზე შედარებით მცირედ არის შეფასებული.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დაშვებების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის ექსპლუატაცია. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში რაიმე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის მაჩვენებლების კორექტირება.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2020 წლის 31 დეკემბერი

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვალებადობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

	ჰესების შენობები და ნაგებობები	ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა	მიმდინარე მშენებლობა და გამოუყენებელი აღჭურვილობა	მანქანა - დანადგარები	საოფისე მოწყობილობა, აღჭურვილობა და ფიტინგები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>ათას ლარში</i>							
ხარჯი							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	5,839	21	60	64	5,984
დამატებები	-	-	37,449	1,784	50	131	39,414
გადაცემა	-	-	(63)	-	63	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	43,225	1,805	173	195	45,398
დამატებები	-	-	17,664	426	129	27	18,246
განკარგვა	-	-	(253)	(315)	(4)	(50)	(622)
გადაცემა	45,869	14,882	(60,636)	(52)	(63)	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	45,869	14,882	-	1,864	235	172	63,022
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	15	27	51	93
ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	-	74	23	8	105
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	89	50	59	198
ხარჯი წლის განმავლობაში	335	182	-	382	41	33	973
გადაცემა	10	-	-	-	(10)	-	-
ლიკვიდირებული განკარგვისას	-	-	-	(52)	-	(3)	(55)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	345	182	-	419	81	89	1,116
საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	5,839	6	33	13	5,891
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	43,225	1,716	123	136	45,200
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	45,524	14,700	-	1,445	154	83	61,906

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,286 ათასი ლარით აღრიცხული სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს იმ სამშენებლო მასალებს, რომლებიც მიღებულია ჰესების მშენებლობის მიზნით და არ იქნა მოხმარებული / დამონტაჟებული. აღნიშნული მასალები დამონტაჟებულ იქნა 2020 წელს.

იხილეთ შენიშვნა 15 დაგირავებული აქტივების შესახებ დეტალებისთვის.

6 დებიტორული და სხვა დავალიანებები

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანებები	538	100
სხვა დავალიანებები	329	842
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(160)	-
სულ დებიტორული და სხვა დავალიანება	707	942

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს მისაღებ თანხებს ელექტროენერგიის გაყიდვიდან, აგრეთვე ძირითადი საშუალებების და ბეტონის გაყიდვებიდან. ობიექტური მტკიცებულებების საფუძველზე, მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას ბეტონის გაყიდვებიდან. აღიარებულია შესაბამისი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

სხვა დავალიანებები უკავშირდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას.

შემდეგ ცხრილში განმარტებულია დებიტორული დავალიანების საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები წლის პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს.

ათას ლარში	2020	2019
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი (მოგება-ზარალის ხარჯი პერიოდისთვის)	160	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	160	-

დებიტორული და სხვა დავალიანება ასახულია 707 ათასი ლარის და 942 ათასი ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, დაგირავებულ იქნა ბანკში სესხის უზრუნველყოფის სახით. გირაოს შესახებ დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

7 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ბანკში	336	1,164
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	336	1,164

ფული და ფულის ექვივალენტები ასახულია 336 ათასი ლარის და 1,164 ათასი ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, დაგირავებულ იქნა ბანკში სესხის უზრუნველყოფის სახით. გირაოს შესახებ დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

8 საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 21 მარტს, სს „Skinest Hydro“-ს და შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო III“-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო III“-მ შეისყიდა კომპანიის საკუთრების 80% წილი. გარდა ამისა, 2018 წლის 26 აპრილს, შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო III“-ს და შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“-ს შორის გაფორმებული საკუთრების წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო III“-მ შეისყიდა დამატებით 2% შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“-სგან. შედეგად, შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო III“ გახდა წილების საკონტროლო პაკეტის მფლობელი პარტნიორი, კომპანიის საკუთრებაში 82% წილით.

2018 წლის 31 მაისს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა საწყისი 1,730 ათასი ლარიდან 9,239 ათასი აშშ დოლარით (ექვივალენტური 22,926 ათასი ლარის) მესაკუთრეთა გადაწყვეტილების შედეგად. ზრდა პროპორციულად გადანაწილდა ყველა მესაკუთრეზე საკუთრებაში მათი წილის შესაბამისად. გარდა ამისა, 2020 წელს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 500 ათასი აშშ დოლარით (ექვივალენტური 1,536 ათასი ლარის).

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2020 წლის 31 დეკემბერი

მესაკუთრეების მიერ 2018 წლის განმავლობაში შენატანის სახით შეტანილ იქნა 14,424 ათასი ლარი. აღნიშნული მოიცავდა 3,705 ათასი ლარის ოდენობის არა-ფულად შენატანს, რაც წარმოადგენს ნასესხები სახსრების კომპანიის საწესდებო კაპიტალში კონვერტაციას შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ და 4,286 ათასი აშშ დოლარის (ექვივალენტური 11,111 ათასი ლარის) ფულადი სახით შენატანს.

მესაკუთრეების მიერ 2019 წლის განმავლობაში შეტანილ იქნა 1,554 ათასი აშშ დოლარი (ექვივალენტური 4,227 ათასი ლარის) ფულადი შენატანის სახით. მესაკუთრეების მიერ 2020 წლის განმავლობაში შეტანილ იქნა 2,159 ათასი აშშ დოლარი (ექვივალენტური 7,419 ათასი ლარის) ფულადი შენატანის სახით.

9 ნასესხები სახსრები

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები:		
საბანკო სესხი	60,617	36,092
დარიცხული პროცენტი	495	1,063
სულ ნასესხები სახსრები	61,112	37,155

2018 წლის 15 ივნისს, კომპანიამ გააფორმა სესხის ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან“ პროექტის დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. რადგან სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, საშეღავათო პერიოდი დასრულდა 2020 წელს და კომპანია ვალების დაფარვას დაიწყებს 2021 წლიდან.

დაკავშირებული მხარის სესხი მიღებულია შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-სგან, რომელიც 2018 წლის 4 ივნისს კონვერტირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალად. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 8.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია დაფინანსების საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებების ანალიზი და დაფინანსების საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებების ცვალებადობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. აღნიშნული ვალდებულებების კომპონენტები წარმოადგენენ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში დაფინანსების სახით წარმოდგენილ კომპონენტებს:

ათას ლარში	2020	2019
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 1 იანვრის მდგომარეობით	37,155	-
ძირი თანხის დანამატები	18,772	36,421
დარიცხული პროცენტი	3,394	1,063
პროცენტის გადახდა	(4,253)	-
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი /(მოგება)	6,044	(329)
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით	61,112	37,155

კომპანია ექვედებარება გარკვეულ შეთანხმებებს ძირითადად სს „თიბისი ბანკიდან“ მის მიერ ნასესხებ ფულად სახსრებთან დაკავშირებით.

10 გრძელვადიანი დავალიანება

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი დავალიანება მშობელი კომპანიის - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ	774	602
დავალიანება შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე	167	83
სულ გრძელვადიანი დავალიანება	941	685

ბ

გრძელვადიანი დავალიანების ნაშთი წარმოადგენს 702 ათასი ლარის ოდენობის სრულ გადასახდელ ნაშთს მშობელი კომპანიის - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ, რომელიც ექვემდებარება ანგარიშსწორებას ჰაიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულებიდან 24 თვის განმავლობაში. დავალიანება მოიცავს კაპიტალში კონვერტირებული ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს. (იხილეთ შენიშვნა 8 „საწესდებო კაპიტალი“). მშობელი კომპანიის მიმართ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს 774 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების ამორტიზებულ ღირებულებას.

კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას მოეთხოვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ საბანკო გარანტიის წარდგენა 1,590 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. მშენებლობასთან დაკავშირებული საბანკო გარანტია კომპანიის სახელით წარმოადგინა მშობელმა კომპანიამ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-მ. საბანკო გარანტიაზე დარიცხული და მშობელი კომპანიის მიერ გადახდილი საპროცენტო სარგებელი ანაზღაურდება კომპანიისგან ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 24 თვის განმავლობაში. ეს აისახება დავალიანებებში, საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით.

11 კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
კრედიტორული დავალიანება	632	10,518
სხვა დავალიანება	141	42
სულ კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	773	10,560

კრედიტორული დავალიანება ძირითადად მოიცავს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების მიმწოდებელთა წინაშე ვალდებულებას და გადაიხდება საანგარიშო წლის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში.

კრედიტორული დავალიანება მოიცავს ვალდებულებას შპს „გლობალ ჰაიდრო“ – ს მიმართ 9,156 ათასი ლარის ოდენობით პროექტის აღჭურვილობისათვის, რომლისთვისაც კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება (აკრედიტივი) სს „თიბისი ბანკთან“. აკრედიტივი გამოყენებულ იქნა 2020 წელს.

12 შემოსავლები

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ელექტროენერგიის გაყიდვა	917	–
სხვა შემოსავალი	404	642
სულ შემოსავალი	1,321	642

2020 წელს სხვა შემოსავალს წარმოადგენს მესამე მხარეების მიმართ ბეტონის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი.

13 სხვა საოპერაციო ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
სოფლის ინფრასტრუქტურა და სოციალური ხარჯი	1,109	1,255
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	540	295
იჯარის ხარჯი	187	215
უსაფრთხოების ხარჯი	245	75
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა წმინდა		
სარეალიზაციო ღირებულებამდე	163	-
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ზარალის რეზერვი	160	-
პროფესიონალური მომსახურების საფასური	110	102
საკანცელარიო საქონელი	67	42
საკომუნიკაციო ხარჯი	19	10
კომუნალური ხარჯი	16	18
წარმომადგენლობითი ხარჯი	6	171
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	58	1
სხვა	335	53
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	3,015	2,237

14 ფინანსური ხარჯები

ათას ლარში	2020	2019
საგარანტიო მოსაკრებელი	21	44
საპროცენტო ხარჯი	3,621	1,102
სხვა საბანკო მომსახურების საფასური	90	340
სულ ფინანსური ხარჯები	3,732	1,486

15 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ის ხშირად წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილებების, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების საგანს, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთგამომრიცხავია ან განსხვავებულად ინტერპრეტირდება სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ. გადასახადები ხშირად გადაიხდება და მათთან დაკავშირებით ხშირად ტარდება კვლევები რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო დარიცხვები. საგადასახადო წელიწადი რჩება ღია განსახილველად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ გარემოებებში საგადასახადო წელიწადი შესაძლებელია დარჩეს ღია უფრო მეტი ხნით. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს საგადასახადო რისკებს საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანოები წარმატებით დანერგავენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების თანახმად, ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება, ასევე კომპანიის წილის 95% დაგირავებულია ბანკთან. დეველოპერი იმყოფება თითქმის ყოველდღიურ კავშირზე ბანკთან და პროექტთან დაკავშირებული ყოველგვარი საჭიროება სრულად შეესაბამება სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის წარმოდგენილი პირობითი შეღავათი დაგირავებულ და შეზღუდულ აქტივებთან დაკავშირებით.

15 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები (გაგრძელება)

საქართველოს მთავრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულება. 2016 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (MoU) საფუძველზე, კომპანიამ იკისრა ყველა მისი ჰესის მიერ გენერირებული ელექტროენერგიის რეალიზაციის ვალდებულება აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, სექტემბრიდან აპრილამდე პერიოდისთვის (8 თვის განმავლობაში), ექსკლუზიურად ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ESCO) მიმართ, საქართველოს ფარგლებში გამოყენებისთვის, 6.00 ცენტი / კვტ.სთ ზღვრულ ფასად. აღნიშნული ვალდებულება გათვალისწინებულია კომპანიის მიერ ოპერირებული თითოეული ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების თარიღიდან ათი წლიანი პერიოდისთვის. ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, კომპანიამ იკისრა ჰესების მშენებლობის დაწყების ვალდებულება ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების დღიდან 12 თვის განმავლობაში და მშენებლობის დასრულების ვალდებულება - ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების დღიდან 42 თვის განმავლობაში.

მემორანდუმში ცვლილება შევიდა 2019 წლის 3 დეკემბერს. მემორანდუმის თანახმად, კომპანიას შეუძლია მოახდინოს ელექტროენერგიის რეალიზაცია ექსკლუზიურად ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ESCO) მიმართ 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით) 6.00 ცენტი/კვტ.სთ მაქსიმალურ ფასად ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში ან ნებისმიერი მხარის მიმართ საქართველოში.

10 წლიანი საგარანტო ხელშეკრულება ელექტროენერგიის შესყიდვის („PPA“) შესახებ ESCO-სთან ძალაში შევიდა 2020 წლის 17 ოქტომბერს მარეგულირებელი ორგანოებისგან ყველა ოფიციალური ნებართვის მიღების შემდეგ.

საბანკო გარანტია. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-მ წარმოადგინა მშენებლობასთან დაკავშირებული საბანკო გარანტია კომპანიის სახელით, ურთიერთგაგების მემორანდუმის მოთხოვნისამებრ. საწყისი თანხა იყო 1,590 ათასი აშშ დოლარი, რომელიც სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოათავისუფლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

აკრედიტივი. კომპანიამ შეათანხმა გადახდების გადავადებული სქემა აკრედიტივის თვალსაზრისით ელექტრომექანიკური მოწყობილობების, აგრეთვე მილსადენის პროვადერთან. ორივე შეთანხმება კონვერტირდა სესხად, და შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ფიქსირდება გადასახდელი დავალიანება.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ასპექტები უმნიშვნელოვანესია კომპანიისთვის და პროექტის განვითარების სრული პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით. კომპანია სამშენებლო ტერიტორიის აღდგენის პროცესშია, რომლის განუყოფელი ნაწილია ტყეების აღდგენა და ტევზის მოშენება.

სოციალური საკითხები. სამშენებლო საქმიანობასთან ერთად კომპანიამ აქტიურად დააფინანსა სხვადასხვა სოციალური პროგრამები, რაც გრძელვადიან გავლენას მოახდენს ადგილობრივ საზოგადოებაზე. ეს ინიციატივა განხორციელდა პროექტის დასაწყისში, ჰესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი გამოწვევების გარეშე. კომპანია არ ატარებს რაიმე იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით, ამის ნაცვლად, კომპანიის ერთადერთი მიზანია მხარი დაუჭიროს ადგილობრივ საზოგადოებას.

შეთანხმებებთან შესაბამისობა. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებებს, რაც ძირითადად დაკავშირებულია სს „თიბისი ზანკისგან“ აღებულ სესხებთან. აღნიშნული შეთანხმებების დარღვევამ შეიძლება იქონიოს სერიოზული შედეგები – დაწყებული ფულადი ჯარიმებით, სესხის ღირებულების ზრდით და კომპანიის მიმართ უარყოფითი შედეგებითაც კი, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და ვალდებულებების შეუსრულებლობის დეკლარირება. კომპანია ასრულებდა შეთანხმებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ელექტროსელის კავშირის აღდგენა. კომპანიამ 2020 წლის ნოემბერში შეწყვიტა საინჟინრო, შესყიდვებისა და სამშენებლო (EPC) ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაციასთან/მშენებლობასთან დაკავშირებით (შენიშვნა 6). კომპანია ვალდებულია დაასრულოს დარჩენილი სამუშაოები.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2020 წლის 31 დეკემბერი

16 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის კომპონენტები წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

ათას ლარში	2020	2019
დაფინანსების ხარჯი გრძელვადიან დავალიანებაზე მშობელი კომპანიის (შენიშვნა 10) - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ	52	39
დაფინანსების ხარჯი შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე (შენიშვნა 10)	34	64
სულ	86	103

დაკავშირებულ მხარეებთან გადასახდელი ნაშთები წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი დავალიანება მშობელი კომპანიის (შენიშვნა 12) - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ	774	602
დავალიანება შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე (შენიშვნა 10)	167	83
სულ	941	685

ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიან კომპანიის დირექტორები. ხელმძღვანელობის მიმართ გადასახდელი კომპენსაცია სრულ განაკვეთზე აღმასრულებელ სახელმძღვანელო პოზიციებზე მუშაობის სანაცვლოდ მოიცავს სახელშეკრულებო ანაზღაურებას, ბონუსს კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე და სხვა სახის კომპენსაციას იჯარის, ტრანსპორტირების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების სახით. ხელმძღვანელობის სრული კომპენსაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	2020	2019
ხელფასები და სარგებელი	688	644

20 ფინანსური ინსტრუმენტები

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გამოკლებული გაუფასურება	1,043	2,106
ფული და ფულის ექვივალენტები	336	1,164
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	707	942
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	62,826	48,400
ნასესხები სახსრები	61,112	37,155
გრძელვადიანი გადასახდელები	941	685
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	773	10,560

18 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს კომპანიამ გაყიდა ბეტონის ქარხანა და მისაღები თანხა შეადგენდა 136 ათას აშშ დოლარს (ექვივალენტური 467 ათასი ლარის), დღგ-ს გამოკლებით.

